

Programme

Robert Schumann

Kreisleriana, Op. 16

"Kreisleriana," Op. 16, is a significant and influential piano work composed by the renowned German composer Robert Schumann. The piece was completed in 1838 and is part of Schumann's impressive output during his highly productive early period. The title "Kreisleriana" refers to a fictional character created by the German Romantic writer E.T.A. Hoffmann. Johannes Kreisler, the character, is a talented and passionate musician known for his eccentric and emotional nature. Schumann, who was deeply inspired by literature, especially the works of E.T.A. Hoffmann, adopted the name "Kreisleriana" for this piano work as a tribute to the character's artistic fervour. "Kreisleriana" consists of eight contrasting movements, each expressing a range of emotions and moods. Schumann's use of contrasting sections and sudden shifts in mood contributes to the work's dramatic and imaginative qualities. The work was influenced by Schumann's complex emotions and experiences at the time of composition. During this period, Schumann's romantic pursuit of Clara Wieck, a talented pianist and composer, faced opposition from Clara's father and resulted in emotional turmoil for Schumann. The passionate and emotionally charged music of "Kreisleriana" is seen as a reflection of Schumann's own intense feelings and struggles during this period of his life. "Kreisleriana" is considered one of Schumann's masterpieces for piano solo. Its challenging technical demands and emotional depth have made it a favourite among pianists and audiences alike. Over the years, "Kreisleriana" has remained a cherished and frequently performed piece in the piano repertoire, continuing to captivate listeners with its rich emotional palette and imaginative storytelling through music.

Franz Liszt

Piano Sonata in B Minor, S.178

The Piano Sonata in B minor by Franz Liszt is one of the most iconic and monumental works in the piano repertoire. Completed in 1853, the sonata represents a significant milestone in Liszt's career and is regarded as a masterpiece of the Romantic era. Liszt

dedicated it to Robert Schumann as a response to Schumann's dedication of his *Fantasie in C major* to Liszt. Regrettably, Schumann never had the opportunity to see the score of the *B-minor Sonata* because, by the time the piece was published in 1854, Schumann was already residing in the asylum in Endenich. The *Sonata* reflects Liszt's innovative approach to form and structure. Instead of following the traditional sonata form, he created a unique single-movement structure, where contrasting themes and motives are interconnected throughout the work, resulting in a cohesive and dramatic narrative. Divided into four main sections, played without pause, the *Sonata* can be interpreted in two ways: as a single sonata-form movement and as a complete four-movement sonata, unified by the transformation of four major themes. Interestingly, several musicologists have positioned the *Sonata* alongside works inspired by Goethe's *Faust* due to certain similarities in its structure and material in relation to Liszt's *Faust Symphony*. The work's emotional depth, technical challenges, and innovative structure make it a powerful expression of Liszt's artistic vision. Curiously, the *Sonata* was met with a lukewarm reception by the public initially. For instance, when Liszt played it for Johannes Brahms, the latter reportedly fell asleep during the performance. Despite the initial negative reception, the *Sonata* has become a staple in the piano repertoire and is regarded as one of Liszt's greatest achievements. Its lasting significance lies in its ability to transport listeners on a profound and emotional journey, demonstrating Liszt's artistic genius and his immense contribution to the Romantic piano tradition.

Meanwhile in Georgia...

In 1854, when Franz Liszt published his *Piano Sonata in B minor*, the tranquil atmosphere of Tsinandali Estate was shattered by an unexpected attack from the troops of Imam Shamil, a prominent Muslim leader opposing Russian expansion. On July 4, Ghazi-Muhammad, Shamil's son, led the raid, during which the mountaineers pillaged the estate and took the wife of Alexander's son, Prince David Chavchavadze, and her widowed sister, Varvara Orbeliani, as captives. The raiders also seized their children and several other relatives, causing shockwaves not only in Russia but also across the Western world. After complex negotiations, on March 22, 1855, a prisoner exchange took place. The hostages were released in exchange for Shamil's

captive son, Jamal al-Din, and 40,000 silver rubles, as part of a broader agreement involving the general exchange of prisoners.

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

რობერტ შუმანი

„კრეისლერიანა“, თხზ. 16

„კრეისლერიანა“ საფორტეპიანო ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელიც გერმანელი კომპოზიტორის რობერტ შუმანის კალამს ეკუთვნის. ნაწარმოები, რომელზე მუშაობა შუმანმა 1838 წელს დაასრულა, მის მაღალი პროდუქტიულობით გამორჩეულ ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. სათაური უკავშირდება რომანტიკოსი მწერლის ე.ტ.ა. ჰოფმანის მიერ შექმნილ პერსონაჟს. ჰოფმანისეული იოჰანეს კრეისლერი არის ნიჭიერი და ემოციური მუსიკოსი, რომელიც ცნობილია თავისი ექსცენტრიული ბუნებით. შუმანმა, რომლისთვისაც ლიტერატურა (განსაკუთრებით კი ჰოფმანის ნაწარმოებები) არაერთხელ გამხდარა შთაგონების წყარო, თავის საფორტეპიანო შედევრს „კრეისლერიანა“ საყვარელი პერსონაჟის საპატივცემულოდ დაარქვა. „კრეისლერიანა“ შედგება რვა კონტრასტული ნაწილისგან, რომელთაგანაც თითოეული განსხვავებულ ემოციებსა და განწყობებს გამოხატავს. კონტრასტული ეპიზოდები და განწყობის უეცარი ცვლილებები განაპირობებს ნაწარმოების დრამატულობას. „კრეისლერიანაზე“ დიდი გავლენა მოახდინა შუმანის იმ პერიოდის დრამატული მოვლენებით გამოწვეულმა განცდებმა. მისი სიყვარული ნიჭიერი პიანისტისა და კომპოზიტორის კლარა ვიკის მიმართ კლარას მამის წინააღმდეგობას წააწყდა და შუმანში ვნებათაღელვა გამოიწვია. „კრეისლერიანას“ ექსპრესიულმა და ემოციურად დატვირთულმა მუსიკამ თითქოს კომპოზიტორის მძაფრი გრძნობები და შინაგანი ბრძოლები აირეკლა. „კრეისლერიანა“ ითვლება შუმანის ერთ-ერთ შედევრად, რომლის რთულმა ტექნიკურმა მოთხოვნებმა და ემოციურმა სიღრმემ ის როგორც პიანისტების, ისე მსმენელების ფავორიტად აქცია. წლების განმავლობაში „კრეისლერიანა“ რჩება პუბლიკის საყვარელ და ხშირად შესრულებად ნაწარმოებად, რომელიც აგრძელებს მსმენელთა მოხიბვლას თავისი მდიდარი ემოციური

პალიტრიტ, გვიყვება რა ყველასათვის კარგად ნაცბნობ განცდებსა და ემოციებზე მუსიკის ენაზე.

ფერენც ლისტის

საფორტეპიანო სონატა სი მინორი, S.178

ფერენც ლისტის საფორტეპიანო სონატა სი მინორი საფორტეპიანო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე საკულტო და მონუმენტური ნაწარმოებია. 1853 წელს დასრულებული სონატა ლისტის შემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს და რომანტიზმის ეპოქის ერთ-ერთ უმთავრეს შედევრად ითვლება. ლისტმა სონატა მიუძღვნა რობერტ შუმანს, შუმანის მიერ ლისტისადმი მიძღვნილი დო-მაჟორული ფანტაზიის საპასუხოდ. სამწუხაროდ, მიძღვნის ადრესატს არ მიეცა შესაძლებლობა, ენახა სონატის პარტიტურა, რადგან 1854 წელს, ნაწარმოების გამოქვეყნების დროისთვის შუმანი უკვე ენდენიხის თავშესაფარში იმყოფებოდა და მენტალურ პრობლემებს ებრძოდა. სონატა ასახავს ლისტის ნოვატორულ მიდგომას ფორმისა და სტრუქტურის მიმართ. იმის ნაცვლად, რომ მიჰყოლოდა სონატის ტრადიციულ ფორმას, ლისტმა შექმნა უნიკალური ერთნაწილიანი სტრუქტურა, სადაც კონტრასტული თემები და მოტივები ურთიერთდაკავშირებულია, რაც განაპირობებს შეკრულ და დრამატულ ნარატივს. ოთხ მთავარ ნაწილად დაყოფილი, პაუზების გარეშე შესრულებული სონატა შეიძლება ორი სახით იქნეს აღქმული: როგორც სონატურ ფორმაში შექმნილი ერთი ნაწილი, ან როგორც დასრულებული ოთხნაწილიანი სონატა, რომელიც გაერთიანებულია ოთხი ძირითადი თემის ტრანსფორმაციებით. საინტერესოა, რომ რამდენიმე მუსიკისმცოდნემ სონატა დააყენა გოეთეს „ფაუსტით“ შთაგონებული ნაწარმოებების გვერდით: სონატა სტრუქტურისა და მასალის თვალსაზრისით ახლოს დგას ლისტის „ფაუსტის სიმფონიასთან“. ნაწარმოების ემოციური სიღრმე, ტექნიკური გამოწვევები და ნოვატორული სტრუქტურა მას ლისტის მხატვრული ხედვის ერთ-ერთ თვალსაჩინოს ნიმუშად აქცევს. საინტერესოა, რომ სონატას თავდაპირველად საზოგადოება ნელთბილად შეხვდა. მაგალითად, როდესაც ლისტმა იოჰანეს ბრამსისთვის დაუკრა იგი, ბრამსს ჩაეძინა. მიუხედავად თავდაპირველი ნეგატიური აღქმისა, სონატა ლისტისა და ზოგადად კლასიკური მუსიკის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება. ის დღესაც მიუძღვის მსმენელებს

ემოციურ მოგზაურობაში, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს რა, თუ რაოდენ დიდია ფერენც ლისტის წვლილი საფორტეპიანო მუსიკის განვითარებაში.

ამ დროს საქართველოში...

1854 წელს, როდესაც ლისტმა გამოაქვეყნა თავისი საფორტეპიანო სონატა სი მინორი, წინანდლის მამულის მშვიდობიანი ატმოსფერო დაარღვია რუსეთის ექსპანსიის მოწინააღმდეგე შამილის რაზმის მოულოდნელმა თავდასხმამ. 4 ივლისის დარბევისას, რომელსაც შამილის ვაჟი ღაზი-მაჰმედი ხელმძღვანელობდა, მთიელებმა გაძარცვეს მამული და ტყვედ წაიყვანეს ალექსანდრეს ვაჟის, თავად დავით ჭავჭავაძის მეუღლე და მისი დაქვრივებული და, ბარბარე ორბელიანი. თავდამსხმელებმა ასევე გაიყოლეს მათი შვილები და ნათესავები. დარბევამ უდიდესი შოკი გამოიწვია არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ დასავლურ სამყაროში. რთული მოლაპარაკებების შემდეგ, 1855 წლის 22 მარტს მოხდა პატიმრების გაცვლა. მძევლები გაათავისუფლეს შამილის დატყვევებული ვაჟის, ჭამალ ალ-დინისა და 40 000 მანეთის სანაცვლოდ, რაც ტყვეთა საერთო გაცვლასთან დაკავშირებული უფრო მასშტაბური შეთანხმების ნაწილად იქცა.



31-10 September
August 2023

5TH ANNIVERSARY